



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა

შეფასების თარიღი(ებ)ი

16.10.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

8.11.2019

თბილისი
2019 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	კვალიფიკაცია არ ენიჭება
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე კიკალიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ჩოკორაია, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ორი ფაკულტეტი: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი და მწვრთნელთა ფაკულტეტი.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის განხორციელება ვალდებულებას წარმოადგენს სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის. პროგრამა ძირითადად განკუთვნილია საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობებისთვის და მიზნად ისახავს მათთვის ქართული ენის სწავლებას ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, რათა სტუდენტებმა შემდგომ შეძლონ საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება. ასეთი პროგრამის შეთავაზების შესაძლებლობა მნიშვნელოვანია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტისთვის, რადგან უმცირესობებისთვის ამ მიმართულებით ბაკალავრიატში სწავლის გაგრძელება გახდეს შესაძლებელი.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ეყრდნობა ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციათა საერთო ევროპულ ჩარჩოს და მიზნად ისახავს, რომ პროგრამის სტუდენტებმა ქართულის ცოდნის ამ დოკუმენტით განსაზღვრულ B2+ დონეს მიაღწიონ ოთხი მიმართულებით: წერა, კითხვა, მოსმენა და მეტყველება. პროგრამა ეყრდნობა დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს და მორგებულია სხვადასხვა დონეზე ენის ცოდნის ფლობის კონტიგენტზე. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და არ ისახავს მიზნად კვალიფიკაციის მინიჭებას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი უნივერსიტეტში შედგა 2019 წლის 16 ოქტომბერს წინასწარ დამტკიცებული დღის წესრიგის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა: პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ძირითად და მოწვეულ აკადემიურ პერსონალს მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს და მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებს. სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ცალკეულ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრა განხორციელდა ინდივიდუალურად.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სარეაბილიტაციო დარბაზები, კაბინეტები და სხვა. ამით ექსპერტთა ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კარგი ინფრასტრუქტურის პირობებში, სტუდენტებს ექნებათ სასურველი პირობები განათლების მისაღებად. სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტებმა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს გააცნეს ძირითადი მიგნებები და მოისმინეს ჯგუფის წევრებისგან განმარტებები. ექსპერტთა ჯგუფისთვის აშკარა გახდა, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი დაინტერესებულია ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე ორგანიზებით, პროგრამაში ჩართული ძირითადი და მოწვეული პერსონალი დაინტერესებულია პროგრამის განხორციელებითა და სამომავლო განვითარებით. ისინი მზად არიან მუდმივად გააუმჯობესონ სილაბუსები. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი იყო საინტერესო და ნაყოფიერი.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა ეყრდნობა ქართულის როგორც მეორე ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე სტანდარტს. პროგრამისა და მასთან თანდართული დოკუმენტაციის, ინტერვიუების საფუძველზე პროგრამების ცალკეული სტანდარტები განსხვავებულად შეფასდა.

პირველი და მეორე სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის მოთხოვნებთან.

პროგრამის პირველი სტანდარტი - **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** - სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით აკრედიტაციის სტანდარტებთან. აუცილებელია პროგრამის შედეგების შეფასების დეტალური გაწერა (პროგრამის კომპეტენციებისა და კონკრეტული სასწავლო კურსის, პროგრამის სამიზნე ნიშნულების და ზოგადად პროგრამის შეფასების გეგმის). პროგრამის შედეგების შეფასების დეტალური გაწერა მოითხოვს პროგრამის სამუშაო ჯგუფისა და ხარისხის სამსახურის მხრიდან შედეგების ხელახალ გადახედვას და ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც შესაძლებელია განხორციელდეს მოკლე ვადაში.

მეორე სტანდარტი - **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** - შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან ცალკეული კურსები არ პასუხობს პროგრამაში გაწერილ მიზნებსა და შესაბამისი (წინასაბაკალავრო ენის შესასწავლი) საფეხურის მოთხოვნებს. კურსების შინაარსი მნიშვნელოვანი პუნქტია 60 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში და აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა მოსაზრებით ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია პროგრამის განხორციელების პროცესში. კურსების შინაარსის გამოსწორება ასევე შესაძლებელია მოკლე დროში (რამდენიმე თვის ვადაში).

მესამე სტანდარტი - **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** - ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ახალია და ჯერ არ არიან სტუდენტები ამ პროგრამაზე. ინტერვიუები ჩატარდა სხვა პროგრამის სტუდენტებთან. ინსტიტუციის ძლიერ მხარედ უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები გრძნობენ მიკუთვნებულობას უნივერსიტეტთან და კმაყოფილები არიან მათთვის შეთავაზებული სერვისებითა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ჩართულობით. თვლიან, რომ ადმინისტრაცია და პროფესურა ქმნის მათზე მორგებულ, ორიენტირებულ გარემოს, ითვალისწინებენ მათ სურვილებს. უმეტესი მათგანი მესამე კურსიდანვე დასაქმებულია.

მეოთხე სტანდარტი - **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** - პროგრამის ფარგლებში დასაქმებული ლექტორების ნაწილს აქვს ქართული ენის სწავლების გამოცდილება და ნაწილს ბერძნული ენის სწავლების გამოცდილება. ისინი დაინტერესებულები არიან და ფლობენ პოტენციალს პროგრამის შემდგომი უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის.

მეხუთე სტანდარტი - **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** - სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხარისხის სამსახური ახორციელებს სტუდენტების ყოველწლიურ შეფასებას. პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს მიმდინარე პროგრამებისთვის.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის ფარგლებში გაწერილი რეკომენდაციების გათვალისწინება აუცილებელია პროგრამის განხორციელებისთვის, მაგრამ არ მოითხოვს ძირულ ცვლილებებს და შესაძლებელია მისი გამოსწორება მოკლე ვადაში. მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სასწავლო პერსონალს გააჩნია გაუმჯობესების რესურსი.

▪ რეკომენდაციები

1.2 პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი: არ ჩანს ნათლად თუ როგორ ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები, ამიტომ აკრედიტაციის ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია შემდეგი რეკომენდაციების გაწერა:

სასურველია, პროგრამის ფარგლებში გაწერილი იყოს, როგორ ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამაში გაწერილ კონკრეტულ სწავლის შედეგს(ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი...).

სასურველია, ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის ცალკე გაიწეროს **სამიზნე ნიშნულები**, სადაც განსაზღვრული იქნება პროგრამაში დასახული კონკრეტული სწავლის შედეგი რომელი სასწავლო კურსით მიიღწევა, რა შეფასების ინსტრუმენტით მოწმდება, რა პროცენტია განსაზღვრული კონკრეტული სამიზნე ნიშნულისთვის და სტუდენტთა რა პროცენტულმა მაჩვენებელმა უნდა მიაღწიოს დასახულ ნიშნულს.

მაგალითად, პროგრამაში გაწერილი კონკრეტული შედეგისთვის:

შედეგები	სასწავლო კურსი	შეფასების ინსტრუმენტი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის გამოთვლა	სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი
კურსდამთავრებული: - ფლობს ქართულ ენას ზოგადევროპული ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად არანაკლებ B2 დონეზე	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1-B2	დასკვნითი გამოცდა	50%	კონკრეტულ ვადაში (1 ან 2 ან 3 წელი) მიღებული მაჩვენებელი	სტუდენტთა რა პროცენტული მაჩვენებელი აღწევს აღნიშნულ სამიზნე ნიშნულს(მაგ.: 50%)
მოსმენა

სასურველია, ქართულ ენაში მომზადების პროგრამას თან ახლდეს ამ პროგრამისთვის განსაზღვრულად გაწერილი პროგრამის შედეგების შეფასების გეგმა, რაც გულისხმობს პროგრამის კონკრეტული შედეგების შეფასების მექანიზმების გაწერასა და განსაზღვრული გეგმის მიხედვით განხორციელებას. სასურველია შედეგების შეფასებაში განსაზღვრული

იყოს შეფასების მიზანი, განმახორციელებელი პირები, შეფასების ინსტრუმენტები და პროგრამის შეფასების პერიოდულობა.

შეფასების შედეგების გამოყენება შესაძლებლობას მისცემს პროგრამის განმახორციელებელ პირებს მონაცემები გამოიყენონ პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის შედეგების შეფასების დეტალური გაწერა მოითხოვს პროგრამის სამუშაო ჯგუფისა და ხარისხის სამსახურის მხრიდან შედეგების ხელახალ გადახედვას და ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. ამ პუნქტის გამოსწორება შესაძლებელია მოკლე ვადაში, შესაბამისად მთლიანი სტანდარტი აკრედიტაციის ჯგუფმა შეაფასა მეტწილი შესაბამისობით აკრედიტაციის სტანდარტებთან.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი და 2.3. სასწავლო კურსები

60 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში 10 კრედიტი დათმობილია კურსებისთვის, რომლებიც კონკრეტულად ენის შესწავლას არ ემსახურება და უკვე მოითხოვს შემსწავლელისგან ენის ფლობის მაღალ კომპეტენციას. აღნიშნული კურსების შესწავლა ითვალისწინებდა სტუდენტების ინეგრაციას, თუმცა რეალურად 60 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში პირდაპირ თეორიული კურსის მოსმენა, რომელიც განსაზღვრულია ბაკალავრიატის საფეხურისთვის, დაუძლეველი იქნება შემსწავლელისთვის, განსაკუთრებით სწავლების პირველ სემესტრში. ამიტომ, ეს კურსები პროგრამის ფარგლებში შეუსაბამოა. შესაბამისად:

სასურველია, პროგრამაში განსაზღვრული სავალდებულო-არჩევითი კურსის ნაცვლად შეთავაზებული იყოს ენის კომპეტენციის დასაუფლებელი კურსები, რომელიც კონკრეტულად აღნიშნული სტუდენტებისთვის ენიც ცოდნის პირველ სემესტრში ბ1 და მეორე სემესტრში ბ2 დონეზე გამყარებას უზრუნველყოფს. პროგრამის ჩამონათვალში აღნიშნული სავალდებულო-არჩევითი კურსების შეთავაზება კი განისაზღვროს სწავლების მეორე სემესტრში და მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც უკვე ენის ფლობას ბ2 დონეზე შეძლებენ (ვინაიდან აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ენის ფლობის დონე ძალიან განსხვავებულია).

სავალდებულო-არჩევითი კურსები შეთავაზებული იქნას ორივე სემესტრში შესაბამისი დონის მიხედვით. შესაძლებელია, ეს იყოს ცალკე დარგობრივი კურსები უნივერსიტეტში არსებული და პრიორიტეტული თემატიკის მიხედვით. ამ შემთხვევაში შესაბამისი დარგობრივი ტექსტების საფუძველზე დარგობრივი ენის ტერმინოლოგიის დაუფლება უნდა იყოს მიზანი. პროგრამაში სხვა ნებისმიერი ენის დასაუფლებელი კურსის გაწერა შესაძლებელია.

გრამატიკის კურსის შინაარსიც (შესასწავლი სახელმძღვანელო) არ პასუხობს შემსწავლელთა მოთხოვნებს და მათთვის განსაზღვრულ ენის დონეზე მასალის დაუფლებას. შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს ამ კურსების შესაბამისი საფეხურის გრამატიკის სახელმძღვანელოთი სწავლება. კურსის ფარგლებში მითითებული სახელმძღვანელოთი შეუძლებელია ამ კურსში დასახული მიზნის მიღწევა.

სასურველია, კონკრეტული კურსების შემთხვევაშიც გათვალისწინებული იყოს წინაპირობა: კურსი „ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A1_A2“ იყოს მეორე სემესტრში განსაზღვრული „ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1_B2“-ის წინაპირობა, და სხვა კურსების წინაპირობაც, რადგან ამ კურსის ვერ დაუფლების შემთხვევაში გაუჭირდება სტუდენტს შემდგომი სემესტრის კურსების დაუფლება.

კურსების შინაარსის გამოსწორება ასევე შესაძლებელია მოკლე დროში (რამდენიმე თვის ვადაში). მაგრამ კურსების შინაარსი ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტია 60 კრედიტის პროგრამის ფარგლებში და აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა მოსაზრებით ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია პროგრამის განხორციელების პროცესში. პროგრამის სამუშაო ჯგუფს გააჩნია რესურსი აღნიშნული კომპონენტის გამოსწორებისთვის. ამიტომ მეორე სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა და ქართული ენის სწავლება ახალი მეთოდოლოგიებით შედარებით ახალი სფეროა. ქართული, როგორც მეორე/უხოური ენის პროგრამა სულ ახლახან შემოვიდა საუნივერსიტეტო სივრცეში. პროგრამის ფარგლებში საჭიროდ მივიჩნიეთ შესაბამისი რჩევების გაცემა, რაც დაეხმარება პროგრამის სამომავლო განვითარებაში, ცხადია, მათი გათვალისწინება პერსონალისა და უნივერსიტეტის სურვილზეა დამოკიდებული:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

სავალდებულო-არჩევით კურსად შესაძლებელია დაემატოს დარგის შემსწავლელი კურსები, რომლებიც დაეხმარება კურსდამთავრებულს საბაკალავრო საფეხურზე. (მაგალითად, კურსის მიზანი ქინება კონკრეტული დარგის ტერმინოლოგიის შესწავლა) ან სხვა ტიპის ენის შემსწავლელი კურსი.

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

აკადემიურ პერსონალს სალექციო კურსები ლექციისა და სემინარის ფორმატში აქვთ ძირითადად გააზრებული. ვინაიდან ენის შესასწავლი კურსები პრაქტიკულია და არა თეორიული, სასურველია, კურსები მთლიანად პრაქტიკული (კომუნიკაციური, ინტერაქციული) მეთოდით იყოს დაგეგმილი. სასწავლო კურსის პრაქტიკული ფორმატი უზრუნველყოფს სტუდენტების მეტ ჩართულობასა და უცხო ენის უკეთ ათვისებას.

2.6. სტუდენტების შეფასება

სამომავლოდ გასათვალისწინებელია, რომ შეფასების სისტემა არ იყოს მსგავსი სხვადასხვა კურსებში და იყოს ინდივიდუალურად კონკრეტული კურსისთვის გაწერილი. ნაჩვენები იყოს, მაგალითად, წერითი კომპეტენციის შემთხვევაში შესაბამის დონეზე რა ტიპის წერით უნარებს უნდა ფლობდეს სტუდენტი (უნდა შეეძლოს შესაბამის დონეზე წერილობითი ტექსტის შექმნა...)

4.1 ადამიანური რესურსი

სასურველია, პროგრამაში მონაწილე პირები იყვნენ მაქსიმალურად ჩართული პროგრამის და ცალკეული კურსების შემუშავებასა და განხილვის პროცესში და მათი აკადემიური რესურსი სრულად იყოს გამოყენებული.

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

სასურველია, პროგრამის ბიუჯეტის ცალკე გაწერა, უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტისგან დამოუკიდებლად, რომ ჩანდეს დაახლოებით რამდენი სტუდენტის მიღების შემთხვევაში გაიხსნება პროგრამა უნივერსიტეტში.

5.2 გარე ხარისხის შეფასება

ვინაიდან ქართული ენის სწავლება თანამედროვე მეთოდოლოგიებით შედარებით ახალი სფეროა და სპეციალობაც ახალია, სასურველია პროგრამის გარე შემფასებლებად მოიაზრებოდნენ უცხოური ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდოლოგიით სწავლების გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც დაეხმარებიან პროგრამის განვითარებას.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

ვინაიდან ქართულ ენაში მომზადების პროგრამა პრაქტიკული ლექციებისაგან შედგება და ლექტორების მხრიდან განსხვავებულ მეთოდურ კომპეტენციას მოითხოვს, სასურველია, სამომავლოდ შედგენილ იქნას ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის ინდივიდუალური კითხვარები, რომელიც დეტალურად შეაფასებს სტუდენტების მხრიდან და ადმინისტრაციის მხრიდანაც სასწავლო კურსისა და ლექტორის საქმიანობის ხარისხს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა არის 60 კრედიტიანი პროგრამა, განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქე იმ ეროვნული უმცირესობის სტუდენტებისთვის, რომლებიც ქართულ ენას არ ფლობენ საკმარისად ან უცხოეთის მოქალაქე სტუდენტებისთვის, რომელთაც საბაკალავრო საფეხურზე სურთ სწავლის გაგრძელება და ასევე არ ფლობენ ქართულ ენას. პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს ქართული ენის სრულყოფილად ფლობა და საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება.

პროგრამის მიზანია, სტუდენტებისთვის ენის სწავლება ევროპული ენის ფლობის სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 ზღვრულ განვითარებულ დონემდე. აღნიშნული კომპეტენციის მისაღწევად 60 კრედიტის ფარგლებში განსაზღვრულია კურსების სწავლება, რომლებიც გულისხმობს ენის დაუფლებას ოთხივე კომპეტენციის(მოსმენა, საუბარი, წერა, კითხვა) მიმართულებით.

პროგრამის მიზნების განსაზღვრისას პროგრამის ხელმძღვანელი დაეყრდნო სხვა უნივერსიტეტების გამოცდილებას, თუმცა უშუალოდ აღნიშნულ კონტიგენტთან მუშაობის გამოცდილება ნაკლები აქვს.

პროგრამა მორგებულია მისაღებ კონტიგენტზე: მოიცავს ორ ბლოკს ელემენტარული საფეხურით დამწყებთათვის და საშუალო დონით დამწყებთათვის, საშუალებას აძლევს სტუდენტებს შესაბამისი ენის დონის ფლობის მიხედვით დაიწყო ქართული ენის შესწავლა.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ:

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიასა და მიზნებს. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები კავშირშია პროგრამების სწავლის შედეგებთან. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანად შეესაბამება განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი კომისიის 2019 წლის 27 მარტის სხდომაზე მიღებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- პროგრამის სწავლის შედეგები;
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - პროგრამის მიზნები;
 - თვითშეფასების დოკუმენტი;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პროგრამაში გაწერილი დიფირენცირებული მიდგომა.

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
- ახალი პროგრამა

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობა უნივერსიტეტის ხედვასა და მისიას.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ორ ბლოკს ელემენტარული საფეხურით დამწყებთათვის და საშუალო დონით დამწყებთათვის, საშუალებას აძლევს სტუდენტებს შესაბამისი ენის დონის ფლობის მიხედვით დაიწყონ ქართული ენის შესწავლა.

პროგრამის შედეგები გულისხმობს ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენის ფლობის დონების მიხედვით სტუდენტებისთვის ენის სწავლებას B2 საფეხურზე (ზღვრული განვითარებული), ენის ფლობის ოთხივე კომპეტენციის შესწავლას (მოსმენა, წერა, კითხვა, საუბარი). თითოეული კომპეტენციის ისე განვითარებას, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს სწავლის გაგრძელება საბაკალავრო საფეხურზე.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი ეყრდნობა პროგრამაში გაწერილ კურიკულუმზე თანდართულ შეფასების გეგმას და შეფასების წესს. ზოგადსაუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესსა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას არ ახლავს თან კონკრეტული პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემები და მათი ანალიზის გეგმა.

მაგალითად, არ არის გაწერილი სასწავლო კურსებისა და კონკრეტული სწავლის შედეგების შესაბამისობა. (გაწერილია პროგრამის სასწავლო კურსების შესაბამისობა ზოგად უნარებთან და არა კონკრეტულ სწავლის შედეგებთან).

არ მოიპოვება პროგრამისთვის ცალკე განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები, რის გამოც ნაკლებად თვალსაჩინოა პროგრამის ფარგლებში დასახული შედეგები რამდენად მიიღწევა და რამდენად შესაძლებელია შემოწმება დასახული კონკრეტული სამიზნე ნიშნულით.

პროგრამას არ ახლავს თან პროგრამის შედეგების შეფასების ანალიზის სქემა, რის საფუძველზეც განსაზღვრული იქნებოდა კონკრეტული პროგრამის შეფასების მექანიზმები და მათი პერიოდულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

რეკომენდაციები:

1. სასურველია, პროგრამის ფარგლებში გაწერილი იყოს, როგორ ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამაში გაწერილ კონკრეტულ სწავლის შედეგს.
2. სასურველია, ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის ცალკე გაიწეროს სამიზნე ნიშნულები, სადაც განსაზღვრული იქნება პროგრამაში დასახული კონკრეტული სწავლის შედეგი რომელი სასწავლო კურსით მიიღწევა, რა შეფასების ინსტრუმენტით მოწმდება, რა პროცენტია განსაზღვრული კონკრეტული სამიზნე ნიშნულისთვის და სტუდენტთა რა პროცენტულმა მაჩვენებელმა უნდა მიაღწიოს დასახულ ნიშნულს.

მაგალითად პროგრამაში გაწერილი კონკრეტული შედეგისთვის:

შედეგები	სასწავლო კურსი	შეფასების ინსტრუმენტი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის გამოთვლა	სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი
კურსდამთავრებული: - ფლობს ქართულ ენას ზოგადევროპული ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად არანაკლებ B2 დონეზე	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1-B2	დასკვნითი გამოცდა	50%	კონკრეტულ ვადაში (1 ან 2 ან 3 წელი) მიღებული მაჩვენებელი	სტუდენტთა რა პროცენტული მაჩვენებელი აღწევს აღნიშნულ სამიზნე ნიშნულს(მაგ.: 50%)
მოსმენა

3. სასურველია, ქართულ ენაში მომზადების პროგრამას თან ახლდეს ამ პროგრამისთვის განსაზღვრულად გაწერილი პროგრამის შედეგების შეფასების გეგმა, რაც გულისხმობს პროგრამის კონკრეტული შედეგების შეფასების მექანიზმების გაწერასა და განსაზღვრული გეგმის მიხედვით განხორციელებას. სასურველია შედეგების შეფასებაში განსაზღვრული იყოს შეფასების მიზანი, განმახორციელებელი პირები, შეფასების ინსტრუმენტები და პროგრამის შეფასებისპერიოდულობა.

შეფასების შედეგების გამოყენება შესაძლებლობას მისცემს პროგრამის განმახორციელებელ პირებს მონაცემები გამოიყენონ პროგრამის გასაუმჯობესებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ ახალი პროგრამა
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		x		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე დაშვება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად და არის თვალსაჩინო, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.</p> <p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების ჩაბარება.</p> <p>ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამით (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N 2. 21.02. 2018 წ)). • ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია სპორტის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის კურსები, განსაზღვრული საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები შეესაბამება პროგრამის დასახულ მიზნებს. პროგრამაში გაწერილი პრაქტიკული ენის საკონტაქტო საათების რაოდენობა შესაბამისობაშია ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან, რაც საჭიროა ბ2 ენის ფლობის დონის მისაღწევად.

პროგრამა აგებულია დიფერენცირებული სწავლების პრინციპებზე, რაც შესაძლებელს ხდის სტუდენტმა შესაბამისი ენის ცოდნის საფეხურის მიხედვით დაიწყო სწავლა.

პროგრამის სტრუქტურა და კურსების ჩამონათვალი თანმიმდევრულადაა აგებული.

უმეტეს შემთხვევაში კურსის წინაპირობები სწორად არის განსაზღვრული. გარკვეულ კურსებს აკლია წინაპირობა, რაც აუცილებელია შემდგომი საფეხურის დაძლევისთვის. ცალკეული კურსების შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამით დასახულ მიზნებს.

ზოგიერთი კურსის შინაარსი არ არის გააზრებული და ყოველთვის არ შეესაბამება პროგრამით დასახულ მიზნებს.

ქართული ენის შესასწავლი კურსების სტრუქტურა ორივე ბლოკისთვის ნაწილობრივ სწორად არის აგებული. გულისხმობს სწორად განსაზღვრული საფეხურების მიხედვით პროგრამის მიზნებში დასახული ენობრივი კომპეტენციების სწორად განვითარებას. პროგრამის ძირითადი კურსები ქართული ენა(მოზმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) განსაზღვრული საფეხურებით ენის ოთხივე კომპეტენციის შესწავლის ინტეგრირებული სწავლების პრინციპზეა აგებული, რაც დღესდღეობით აპრობირებული კომუნიკაციური მეთოდით სწავლების თანამედროვე პრინციპებზეა აგებული. პროგრამაში დამატებით განსაზღვრულია გრამატიკის სწავლება, ენის კომუნიკაციური ასპექტების შესწავლა, რაც გრამატიკის დამატებით კონტექსტში შესწავლას გულისხმობს. ფუნქციური წერის ელემენტების შესწავლა სტუდენტს საშუალებას მისცემს გაეცნოს ოფიციალური და არაოფიციალური მიმოწერის სტილს და წერის ელემენტებს.

ორივე სემესტრში პროგრამის ფარგლებში ისწავლება ასევე კურსი: ინტეგრაცია. კურსის შინაარსი ქართული ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის ელემენტების სწავლებით სტუდენტებისთვის ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებისა და ინტეგრაციისთვისაა განსაზღვრული, თუმცა მეტად თეორიული ნაწილით შემოიფარგლება. პროგრამის ფარგლებში ორივე სემესტრში არჩევითად 10 კრედიტის ფარგლებში შეთავაზებულია საბაკალავრო საფეხურის კურსები, რომლებიც ასწავლის ქართულ ლიტერატურას, სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორიას, მითლოგიასა და საქართველოს ისტორიას. როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა, აღნიშნული კურსების მიზანი შემსწავლელებისთვის დარგობრივი ენის და კულტურის ელემენტების შესწავლას გულისხმობდა, თუმცა გაუგებარია სწავლის პირველივე და მეორე სემესტრშიც ენის შესაბამის კომპეტენციის დონეზე არ ფლობის შემთხვევაში სტუდენტისთვის აღნიშნული კურსის დაუფლება როგორ მოხდება.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სპორტის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სილაბუსები; ▪ კურიკულუმის რუკა; ▪ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>სასურველია, პროგრამაში განსაზღვრული სავალდებულო-არჩევითი კურსის ნაცვლად შეთავაზებული იყოს ენის კომპეტენციის დასაუფლებელი კურსები, რომელიც კონკრეტულად აღნიშნული სტუდენტებისთვის ენიც ცოდნის პირველ სემესტრში ბ1 და მეორე სემესტრში ბ2 დონეზე გამყარებას უზრუნველყოფს. პროგრამის ჩამონათვალში აღნიშნული სავალდებულო-არჩევითი კურსების შეთავაზება კი განისაზღვროს სწავლების მეორე სემესტრში და მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც უკვე ენის ფლობას ბ2 დონეზე შეძლებენ (ვინაიდან აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ენის ფლობა ძალიან განსხვავებულია).</p> <p>სასურველია, კურსი „ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A1_A2“ იყოს მეორე სემესტრში განსაზღვრული „ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1_B2“-ის წინაპირობა, და სხვა კურსების წინაპირობაც, რადგან ამ კურსის ვერ დაუფლების შემთხვევაში გაუჭირდება სტუდენტს შემდგომი სემესტრის კურსების დაუფლება.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სავალდებულო-არჩევით კურსად შესაძლებელია ჩაისვას კურსები, რომლებიც უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურის ტერმინოლოგიას შეასწავლიან (მაგალითად: დარგობრივი ენა).</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ძირითადი პროგრამის კურსები შედგება თითოეულ სემესტრში 25 კრედიტიანი სავალდებულო და 5 კრედიტიანი სავალდებულო-არჩევითი კურსისაგან. კურსებში განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა და კრედიტის მოცულობა შესაბამისობაშია თითოეული კურსის მისაღწევ შედეგთან.

ძირითადი სავალდებულო კურსების შემთხვევაში კურსის შედეგები და კომპეტენციები შეესაბამება კურსის მიზნებს.

ცალკეული კურსების შემთხვევაში კურსის შინაარსი არ პასუხობს პროგრამით განსაზღვრული შედეგს. კერძოდ:

პროგრამაში განსაზღვრული კურსები „ქართული ენის გრამატიკა 1“ და „ქართული ენის გრამატიკა 2“ ისახავს თეორიული გრამატიკის შესწავლას მიზნად. გაუგებარია, თუკი სტუდენტი არ ფლობს ენას ბ1+ ან ბ2 დონოზე, როგორ დაეუფლება მორფოლოგიისა და სინტაქსის თეორიულ ნაწილს. კურსის ფარგლებში მითითებული ლიტერატურა შესაბამისად შეუსაბამოა განსაზღვრული საფეხურისთვის.

